

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკლარირებული, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის ელისო აფციაური

შპს „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ცენტრი“-ს სახელით.

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019


ელისო აფციაური



შპს „გორმედი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	11,485,864	7,797,408
არამატერიალური აქტივები	7	57,660	60,144
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	78,853	63,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,622,377	7,921,405
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	436,867	269,524
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	10	5,679	102
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	10	5,512,228	4,506,492
გადახდილი ავანსები	10	52,596	66,485
საგადასახადო აქტივი		0	207,203
სხვა მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	9,880,516	11,102,030
სულ მიმდინარე აქტივები		15,887,886	16,151,835
სულ აქტივები		27,510,263	24,073,240
ვალდებულება და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		43,686	15,119
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	12	1,193,271	1,089,756
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	12	399	3
გადასახდელი დივიდენდი		-	2,740,041
გადასახდელი ხელფასები	12	454,481	328,231
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	6,011	6,010
საგადასახადო ვალდებულებები		26,726	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,724,574	4,179,162
სულ ვალდებულებები		1,724,574	4,179,162
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		790,657	790,657
გაუნაწილებელი მოგება		18,782,986	19,029,744
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		6,138,369	0
რეზერვები და დაფინანსება		73,677	73,677
სულ კაპიტალი		25,785,690	19,894,079
სულ ვალდებულება და კაპიტალი		27,510,263	24,073,240


შპს „გორმედი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი



ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: გივი სვანაძე

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-25 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.



შპს „გორმედი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2018
შემოსავალი მომსახურების და საქონლის რეალიზაციიდან	14	14,420,906
სხვა საოპერაციო შემოსავლები	14	73,424
რეალიზებული პროდუქციის/გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15	(2,578,260)
საერთო მოგება		11,916,071
გაყიდვის ხარჯი		(52,921)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	16	(6,768,963)
საოპერაციო მოგება		5,094,187
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან საპროცენტო ხარჯი		-
ფინანსური ხარჯი		5,094,187
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან		78,959
საპროცენტო შემოსავალი		655,885
ფინანსური შემოსავალი		734,844
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან		5,829,031
სხვა შემოსავალი		349,392
სხვა ხარჯები		(40,054)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,138,369
მოგების გადასახადი		-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		6,138,369

ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: გივი სვანაძე

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



თანდართული შენიშვნები 9-25 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „გორმედი“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
1 იანვარი, 2018	790,657	19,029,744	73,677	19,894,079
მოგება წლის განმავლობაში		6,138,369		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
მოგების განაწილება		(246,759)		
31 დეკემბერი, 2018	790,657	24,921,355	73,677	25,785,690

ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: გივი სვანაძე

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



თანდართული შენიშვნები 9-25 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „გორმედი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	13,372,111
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(7,955,233)
სხვა	(2,620)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	5,414,257
საინვესტიციო საქმიანობები	
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(4,594,961)
ინვესტიციები	(15,000)
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა	75,572
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,534,389)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	655,885
გადახდილი დივიდენდი	(2,837,463)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(2,181,578)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	80,196
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(1,221,514)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	11,102,030
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	9,880,516

ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: გივი სვანაძე

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი

31 იანვარი, 2019
ქ.გორი, საქართველო



თანდართული შენიშვნები 9-25 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „გორმედი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „გორმედი“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სუბიექტი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს ქ.გორში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. გორმედი დაარსდა 2011 წლის 16 დეკემბერს.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

გიორგი კაკუშაძე (პ/ნ 01022007427) – 50%

გივი სვანაძე (პ/ნ 01025002079) – 50%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი, N14

2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს სუბიექტის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი (\$)/ლარი (G)	2.6766	2.5922
1 ევრო (\$)/ლარი (G)	3.0701	3.1044

3. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი ფაქტორები

კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1-დან 3 დონემდე. ეს დონეები წარმოადგენს შემდეგს:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულებისა
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რმელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდება

ფინანსური ინსტრუმენტები დისკონტირებული ღირებულებით

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ხელმძღვანელობის შეფასების შედეგად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვარდება ზემოთ ხსენებული დონეების მესამე დონის განსაზღვრებაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის დისკონტირებულ ღირებულებას.

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებს) მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების, და გადაცემის გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივები ნებისმიერი ჩამოწერის და გაუფასურების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს ამორტიზაციას გადავადებულ ოპერაციის ღირებულების თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის გადავადებული გადასახადი წარმოშობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შედის საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივებს აქვს შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და დებიტორული მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ) ფინანსური აქტივები რომლების ინახება ვადის გასვლამდე და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით დაფიქსირებული მოგებას ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება.

ფინანსური ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება თავისი სამართლიანი ღირებულებით, ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი) იმ პერიოდში, რომელშიც ის წარმოიქმნება. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური

ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეტესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია აქტივებიდან მისარები ფულადი ნაკადების მოტხოვნა აღარ არსებობს (ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა რისკს და სარგებელს დაკავშირებულს გადაცემულ აქტივთან და არც ინარჩუნებს მასზე კონტროლს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის იმ ეკონომიკური გარემოს პირველადი ვალუტა, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (ლარი).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ანგარიშებზე და სალაროებში გათავსებული ნაშთებისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირადად ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასიცოცხლო პერიოდი
შენობა ნაგებობები	20 -50 წელი
მანქანა დანადგარები	5– 20 წელი
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	3– 10 წელი

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადები.

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება წინა წლების გადმოტანილი ზარალით და პერიოდის დროებითი განსხვავებებით, რომლებიც წარმოიშვება აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსური განსხვავებებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყველა დასაბეგრი განსხვავებებისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა გამოქვითვადი დროებითი განსხვავებებისთვის იმ შემთხვევაში თუ არის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგება, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეს გამოქვითვადი დროებითი განსხვავება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან ან აქტივების და ვალდებულებების პირველად აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახედილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული გადასახადები განისაზღვრება იმ საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში. გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალი მოგების გასაქვითად.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა იურიდიული პირისთვის გარდა კოდექსში მითითებული პირებისა. შეცვლილი მოგების კანონი არ ბეგრავს გაუნაწილებელ მოგებას და მოგების გადასახადი ერიცხება განაწილებული დივიდენდის 15%. ეს განსხვავდება წინა მიდგომისგან, როდესაც ორგანიზაცია იხდიდა 15% - ს მოგება/ზარალის მოგების გადასახადით დაბეგვრამდე მიუხედავად იმისა განაწილებული იყო თუ არა დივიდენდი. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება ფინანსური აქტივები, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხდება გაუფასურების საჭიროებს შეფასება სანგარიშგებო პერიოდისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური აზრი ერთი ან რამოდენიმე შემთხვევის აღმოჩენისას, რომელსაც აქვს გავლენა ინვესტიციის მომავალ ფულად ნაკადებზე. ფინანსური აქტივებისთვის წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისათვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

უიმედო აქტივების ჩამოწერისას საამორტიზაციო და ზარალის რეზერვის შემდეგ ყველა აუცილებელი პროცედურა, აქტივის აღსადგენად უკვე დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრული. შემდგომი ამოღება ჩამოწერილი თანხების დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე და ამ ფარგლებში განისაზღვრება მოგება ან ზარალში.

გადახდილი ავანსები.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება

მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

დაკავშირებული მხარეები

სუბიექტის დაკავშირებული მხარეებია დამფუძნებლები, ძირითადი მენეჯმენტი.

კრედიტორული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხი და მისი მიკუთვნება

კრედიტორული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხები იქმნება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, როგორც წარსული მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი ექვი, იმის, რომ მოხდება სახსრების გადინება ამ ვალდებულებებს დასაფარად, რომელიც არის საიმედოდ გამოთვალადი. როდესაც არის რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, ისინი უნდა იყოს მიჩნეული მთლიანობაში, როგორც ვალდებულებების ერთი კლასი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2016 წლის 1 იანვრიდან

IAS 19--ში შეტანილი ცვლილებები, სახელწოდებით „დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო გეგმა: თანამშრომელთა შენატანები“(გამოცემული 2013 წლის ნოემბერში) - შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2014 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, ადგენს მოთხოვნებს, როგორ უნდა მიეკუთვნოს თანამშრომლებისა და მესამე პირების შენატანები მომსახურების გაწევის პერიოდს, როდესაც შენატანები დაკავშირებულია მომსახურებასთან. კერძოდ, თუ შენატანები არ არის დამოკიდებული მომსახურების გაწევის წლების რაოდენობაზე, ასეთი შენატანები აღიარებული უნდა იყოს, როგორც მომსახურების ღირებულების შემცირება, იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა ეს მომსახურება, (იმის ნაცვლად, რომ ისინი მიეკუთვნოს მომსახურების გაწევის პერიოდს).

- IAS 24-ის შესწორებები (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2010–2012 ციკლში, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის, 2014 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა იქნას გამოვლენილი პირების მიმართ გადახდები, რომლებიც ეწევიან ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის მომსახურებებს.

- IAS 40-ის შესწორებები (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2011–2013 ციკლში, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის, 2014 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, აკონკრეტებს IFRS 3 და IAS 40-ს გამოყენებას საინვესტიციო ქონების შეძენასთან დაკავშირებით. IAS 40 გვებმარება, განვსხვავოთ საინვესტიციო ქონება და მფლობელის მიერ დაკავებული უძრავი ქონება, ხოლო IFRS 3 გვებმარება, განისაზღვროს, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების ამაღლამაცია.

- IFRS 3-ის შესწორებები (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2011–2013 ციკლში, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს სავარაუდოდ ყოველწლიური პერიოდისათვის, 2014 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, აკონკრეტებს , რომ IFRS 3 გამორიცხავს თავის ფარგლებიდან რაიმე ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების ფორმაციის აღრიცხვას თავად ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების ფინანსურ განაცხადებში.

- IFRS 8-ის შესწორებები (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2010–2012 ციკლში, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს სავარაუდოდ ყოველწლიური პერიოდისათვის, 2014 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გახსნას გაერთიანებული კრიტერიუმების გამოყენებით საოპერაციო სეგმენტებზე, და აკონკრეტებს, რომ საანგარიშო სეგმენტების ყველა აქტივის შეთანხმება პირის აქტივებთან მოთხოვნილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივები რეგულარულად აღირიცხება.

- IFRS 13-ის შესწორებები (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2011–2013 ციკლში, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს სავარაუდოდ ყოველწლიური პერიოდისათვის, 2014 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, განმარტავს, რომ გათავისუფლება, რომელიც ითვალისწინებს სამართლიანი ღირებულების შეფასების შესაძლებლობას ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დონეზე IFRS 13-ში - რომელიც საშუალებას აძლევს პირს, რომ შეაფასოს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით ურთიერთჩათვლის საფუძველზე - ვრცელდება ყველა კონტრაქტზე (არა-ფინანსურის ჩათვლით) IAS 39 / IFRS 9-ს ფარგლებში.
- IAS 16 და IAS 38-ის შესწორებები სახელწოდებით „ცვეთის და ამორტიზაციის მოქმედი მეთოდების განმარტება“ (გამოცემული 2014 წლის მაისში) - შესწორებებს დამატებული მითითებები განმარტავს, რომ (ი) გაანგარიშებაზე დაფუძნებული მეთოდები აქტივის ცვეთის გაანგარიშებისას არ არის შესაფერისი იმიტომ, რომ მოქმედებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მოიცავს აქტივის გამოყენებას, ზოგადად ასახავს ფაქტორებს, რომ არ ჩავთვალოთ აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, და (იი) შემოსავალი ზოგადად ივარაუდება, რომ არის არამტერიალურ აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების შეფასების არაშესაფერისი საფუძველი; თუმცა, აღნიშნული ვარაუდი შესაძლოა წინაღმდეგობაში იყოს კონკრეტულ შეზღუდულ გარემოებებში. ისინი სავარაუდოდ ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2016 წლის 1 იანვრის შემდგომ.
- შესწორება IAS 1-ში სახელწოდებით *ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში* (გამოცემული 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2016 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, აკონკრეტებს მითითებებს არსებითობის და ერთიანობის შესახებ, შუალედური შედეგების წარმოდგენას, ფინანსური ანგარიშების სტრუქტურას და სააღრიცხვო პოლიტიკის გახსნას.
- შესწორება IAS 16 და IAS 41-ში სახელწოდებით სოფლის მეურნეობა: ნაყოფიერი მცენარეები (გაცემული 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის, 2016 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, განსაზღვრავს ნაყოფიერ მცენარეებს - ანუ ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ წარმოების გაზრდისათვის სხვადასხვა პერიოდებში და ჩვეულებრივ გადაიყრება მათი ნაყოფიერი სიცოცხლის ბოლოს (მაგ. ყურძენი, კაუჩუკის ხეები, ზეთის პალმები) - და ისინი შეყავს IAS 16-ს ფარგლებში, ხოლო ნაყოფიერი მცენარეების მოყვანა რჩება IAS 41-ს ფარგლებში.
- შესწორება IAS 19-ში (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2012–2014 ციკლში, გამოცემული 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის, 2016 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, განმარტავს, რომ მაღალხარისხიანი კორპორატიული ობლიგაციები, რომლებიც გამოიყენება პერსონირებისათვის გადასახდელების ფასდაკლების ტარიფების შესაფასებლად დენომინირებული უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რაშიც გადასახდელები უნდა იქნას გადახდილი.
- შესწორება IFRS 7-ში (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2012–2014 ციკლში, გამოცემული 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური

პერიოდისათვის, 2016 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, ამატებს მითითებებს, რათა დააკონკრეტოს, როდის არის კონტრაქტი მომსახურების შესახებ მუდმივად ჩართული ძირითად კაპიტალში.

- შესწორება IFRS 5 (ყოველწლიური გაუმჯობესებები IFRSs 2012–2014 ციკლში , გამოცემული 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ამოქმედდება სავარაუდოდ ყოველწლიური პერიოდისათვის, 2016 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, ამატებს კონკრეტულ მითითებებს როდის ახდენს პირი აქტივების (ან გამომყვანი ჯგუფი) რეკლასიფიცირებას გასაყიდად განსაზღვრულისგან მფლობელებზე განაწილებისათვის განსაზღვრულზე, ან პირიქით, და იმ შემთხვევისათვის, როდესაც განაწილებისათვის განსაზღვრული აქტივების აღრიცხვა წყდება.

- შესწორება IAS 27 სახელწოდებით წილობრივი მონაწილეობის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში (გამოცემული 2014 წლის აგვისტოში) - შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2016 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული , აღადგენს წილობრივი მონაწილეობის მეთოდის არჩევანს, რომელიც პირებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ წილობრივი მონაწილეობის მეთოდი შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში და ასოციაციებში ინვესტირების აღსარიცხად თავიანთ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში.

- შესწორება IFRS 10, IFRS 12 და IAS 28-ში სახელწოდებით საინვესტიციო კომპანიები: იყენებს კონსოლიდაციის გამონაკლისს (გაცემული 2014 წლის დეკემბერში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2016 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული , განმარტავს კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენებას საინვესტიციო კომპანიებისათვის და მათი შვილობილი კომპანიებისათვის. მოსალოდნელია, რომ აღნიშნულს არ ექნება გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

კომპანიას არ გამოუყენებია ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული განაცხადები, რაც გამოცემული იქნა IASB -ს მიერ და ჯერ არ არის ძალაში შესული ფინანსური წლისათვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს.

მენეჯმენტი მოელის, რომ ახალი სტანდარტები და ცვლილებები მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც ისინი ძალაში შევა. სადაც შესაძლებელი იყო, კომპანიამ შეაფასა, ყველა ახალი სტანდარტის და ცვლილების პოტენციური გავლენა, რომლებიც სამომავლოდ შევლენ ძალაში.

- შესწორება IAS 7 სახელწოდებით ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სრულყოფს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს პირის ფინანსური საქმიანობების შესახებ.

- შესწორება IAS 12 (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული,

აკონკრეტებს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებას, რაც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სასესხო ვალდებულებას.

- IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

- o IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.

- o ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.

- o ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.

- o ხეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არაფინანსური რისკების საფრთხეების ხეჯირებისას.

- o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან. მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 9 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოადგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა).

• IFRS 16 ქირავნობა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს, რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. დამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირების ან ფინანსების, IFRS 16-ს მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმობედისგან, IAS 17-სგან.

6. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა- ნაგებობები	სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2017	433,010	1,360,431	4,582,508	3,817,824	10,193,773
მატება		1,592,152	3,525,487	2,409,949	
კლება		(2,952,583)		(133,969)	
დეკემბერი 31, 2018	433,010	-	8,107,996	6,093,804	14,634,810
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
დეკემბერი 31, 2017			621,843	1,774,522	2,396,365
მიმდინარე წლის ცვეთა			212,160	586,038	
ცვეთის ამოზღუდვა გასხვისებაზე				(45,618)	
დეკემბერი 31, 2018	-	-	834,003	2,314,942	3,148,945
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2017	433,010	1,360,431	3,960,665	2,043,302	7,797,408
დეკემბერი 31, 2018	433,010	-	7,273,993	3,778,862	11,485,864

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამები	სხვა	სულ
31.12.2017	31,418	28,726	60,144
31.12.2018	33,903	29,515	57,660
მიღება	2,485	789	3,274
	-		
გასვლა			
	(5,757)	-	(5,757)

8. ინვესტიცია სხვა საწარმოში

დასახელება	წილის ფლობა		საოპერაციო საქმიანობა	თვითღირებულება	
	31.12.2018	01.01.2018		31.12.2018	31.12.2017
შპს არომა	28%	28%	ფარმაცევტული საქმიანობა	78 852	63 852

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

9. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
საქონელი	344,469	227,695
ნედლეული და მასალები	56,905	1,057
მზა პროდუქცია	33,216	38,676
სხვა სმფ	2,277	2,096
სულ	436,867	269,524

10. მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო მოთხოვნები	5,512,228	4,506,492
საექვო ვალების რეზერვი	-	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	5,512,228	4,506,492
სხვა გადახდილი ავანსები	52,595.65	66,485
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	207,203
ავანსები პერსონალზე	5,679	102
სულ მოთხოვნები	5,570,503	4,780,282

სავაჭრო მოთხოვნები არის უპროცენტო ფინანსური აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. ახალი მომხმარებლისთვის საკრედიტო ლიმიტის შეთავაზებისას კომპანია განიხილავს მომხმარებლის საგადამხდელო შესაძლებლობას. კომპანიას ვადაგადაცილებული მოთხოვნების გაუფასურების პოლიტიკა არ გააჩნია, ისინი შეფასებულია თვითღირებულებით, რაზეც გამოვთქვით პირობითი მოსაზრება.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული ბანკში	9,857,343	11,092,590
ფული სალაროში	23,173	9,440
სულ	9,880,516	11,102,030

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც რისკის არმქონე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკებში, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები საიმედო ქართული საკრედიტო დაწესებულებებია.

12 მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მიღებული ავანსები	43,686	15,119
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,193,271	1,089,756
გადასახდელი დივიდენდი	-	2,740,041
გადასახდელი ხელფასები	454,481	328,231
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,410	6,014
საგადასახადო ვალდებულებები	26,726	-
სულ	1,724,574	4,179,162

13 ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია :

- საპროცენტო რისკი
- საკრედიტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიას ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიას ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	5,512,228	4,506,492
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,880,516	11,102,030
სულ ფინანსური აქტივები	15,392,744	15,608,521

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,193,271	1,089,756
სესხები და ფინანსური იჯარა	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,193,271	1,089,756

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკი მართვა (გაგრძელება)

- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის

შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მომველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიას ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 8%-დან 12%-მდე, ხოლო ფინანსური იჯარის, 16%-დან 27%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის რეალური ღირებულება შეფასებულია

ფინანსური ინსტრუმენტები-რისკის მართვა (გაგარძელება)

მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგებისმაქსიმიზაცია,

მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიას ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში,

კომპანიას ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიას ფინანსური მხარისთვის. კომპანიას ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიას ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიას ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 აიანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018		31.12.2017	
	აშშ		აშშ	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,774,192	63,557	2,637,998	10,364
სულ ფინანსური აქტივები	2,774,192		2,637,998	
	31.12.2018		31.12.2017	
	აშშ		აშშ	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				
სესხები				-
სულ ფინანსური ვალდებულება	-		-	
წმიდა სავალუტო პოზიცია	2,774,192		2,637,998	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	აშშ დოლარი/ლარი +20 %	აშშ დოლარი/ლარი -20%	ევრო/ლარი +20 %	ევრო/ლარი -20%
მოგება/ზარალი	(116,846)	116,846	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო მოთხოვნები	5,512,228	4,506,492
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	9,857,343	11,092,590
სულ	15,369,571	15,599,081

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

14 შემოსავალი მომსახურებიდან/საქონლის მიწოდებიდან და სხვა აქტივობებიდან

	31 დეკემბერი, 2018
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან და მედიკამენტების რეალიზაციიდან	14,355,691
შემოსავლები იჯარიდან	71,764
შემოსავლები სხვა შესრულებებიდან და სტუდენტთა პრაქტიკებიდან	66,876
სულ	14,494,331

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15 გაწეული მომსახურების/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2018
რეალიზებული სისხლის პრეპარატები	287,403
გახარჯული მედიკამენტები	2,104,736
რეალიზებული/ჩამოწერილი მედიკამენტები	186,121
სულ	2,578,260

16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2018
შრომის ანაზღაურება	5,255,230
სამეურნეო/საოფისე ხარჯი	19,417
კომუნიკაციის ხარჯი	15,414
რემონტი	62,596
კომპიუტერის ხარჯები	21,790
საკონსულტაციო ხარჯი	18,000
სხვა საგადასახადო ხარჯი	21
კომუნალური ხარჯი	314,433
საკანცელარიო ხარჯი	40,671
მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	77,717
ბანკის მომსახურება	2,620
ცვეთა და ამორტიზაცია	798,198
სხვა საერთო ხარჯი	142,856
სულ	6,768,963

შპს “გორმედი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

17 მოგების გადასახადი:

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა იურიდიული პირისთვის გარდა კოდექსში მითითებული პირებისა. შეცვლილი მოგების კანონი არ ზეგრავს განაწილებულ მოგებას და მოგების გადასახადი ერიცხება განაწილებული დივიდენდის 15%. ეს განსხვავდება წინა მიდგომისგან, როდესაც ორგანიზაცია იხდიდა 15% -ს მოგება/ზარალის მოგების გადასახადით დაბეგვრამდე მიუხედავად იმისა განაწილებული იყო თუ არა დივიდენდი. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

18 დაკავშირებული მხარეები

საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფს შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგება თარიღის მიხედვით შემდეგნი ნაშთები:

	31 დეკემბერი, 2018
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	298 613
	298 613

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს შპს „ჯორჯიან მედი“:

	31.12.2018		
	დამფუძნებლები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-	-
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	472,844	472,844
სესხები	-	-	-
შემოსავალი		-	-
ხარჯები		-	-

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას..